ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7528404

ნომერი: AR11092352

თარიღი : 03.06.2025

გაცემის თარიღი : 24.06.2025

გაცნობის თარიღი : 24.06.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბამბის რიგი , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარი ანთაძე პ/ნ 01005039034
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 17, ბინა 22

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- " "
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოთარი ანთაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005039034

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ოთარი ანთაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2025 წლის 22 მაისის AR11092352 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბამბის რიგი N8-ში (ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის უნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N23, 19.06.2025წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.წარმოდგენილ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: წარმოდგენილ იქნეს განმარტებითი ბარათი აღნიშნული ხელმოწერილ იქნეს შესაბამისი შემსრულებლის მიერ სველი წესით.

3.მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოადგინეთ მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი, აღნიშნული ხელმოწერილ იქნეს შესაბამისი შემსრულებლის მიერ სველი წესით.
4. სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 50 ლარს. შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. გაცნობებთ, რომ თანხის გადახდა უნდა მოხდეს ბიუჯეტში, სახაზინო კოდზე: 300773100 (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების, არქეოლოგიური სამუშაოებისა და საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა). ხოლო, დანიშნულებაში მიეთითოს განაცხადის ნომერი;
5. წარმოდგენილ იქნეს შპს კაპიტალის ფართის მიმართ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქირავნობა, იჯარა) საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. ამასთან, წარმოდგენილ იქნეს შპს "მეიდან ჯგუფის"თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. დამატებით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გეცნობებათ დამატებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.